

დაეცა სულით, ხალხი გალატავდა ნივთიერად. სოფლის გლეხობას წაართვეს და დაუწვეს სარჩო-საბადებელი, ამ გლეხობას მოეღოს შიმშილი და ამ საშინელ კრიზისის დროს განა შესაძლებელია გლეხმა გამოუცხადოს მემამულეს ბოიკოტი და არ დაიმუშაოს მისი ყანები? განა შეიძლება ამისთანა გაპირების დროს ეურჩიოთ ხალხს, დაიკრიფეთ გულზედ ხელები, ნუ იმუშავებთ ამ გაზაფხულზედ, ნუ დახნავთ და ნუ დათესავთ მემამულის აღგილებსაო! მაშ რა ქნას მშვირმა და გალატავებულმა გლეხმა? რითი ირჩიოს თავი? რითი არჩიოს ცოლ-შვილი? რითი გადხიდაოს აზრაც-ხელი ბევრმა და ვალები? სადა აქვს მას იმდენი მიწა, რომ ეყოს დასამუშავებლათ? სად წავიდეს? რა აქეთოს?

რატომ ეს მწევრე კითხვები არ მისცეს თავიანთ თავს ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა, როცა აღგენდნენ თავიანთ განაჩენს? ადვილია თქმა და გადწევა, ადვილია პრაზაგანა და აგიტაცია, ადვილია ხშირად ხალხის აყურება და დაჯერება შიშით თუ ნებით, მაგრამ არაა ადვილი იმის წინა-და-წინ მოსაზრება თუ რა შედეგი მოყვება ამა თუ იმ საქციელს...

ჩვენის აზრით ამ ეპოქა არაა შესაფერი დრო აგრარულ გაფიცვების მოსახდენად. ეს გაფიცვები კიდევ უფრო გაამწვავებს საქმეს და სულ ერთიან ბოლოს მოუღებს ისედაც საშინელ გაპირებაში ჩაყარდნის ჩვენს გლეხობას.

გუშაგი.

სხალი ამბავი

სახელმწიფო სათათბიროში გასაზიარებლად ქართველ ინტელიგენციას, როგორც ამბობენ, სახელმწიფო გაამწვავებს საქმეს და სულ ერთიან ბოლოს მოუღებს ისედაც საშინელ გაპირებაში ჩაყარდნის ჩვენს გლეხობას.

ქუთაისში კონსტ. დემირატიული პარტია უკვე შესდგომია სახელმწიფო სათათბიროსათვის კანდიდატების არჩენების თაღარიგს.

დაპატიმრებულია „განთავისუფლებმა“ სამ მარტს გუმბარისა და ყარსის ციხიდან გაანთავისუფლეს 32 კაცი, ხოლო მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს 57 კაცი. ყველა ესენი რკინის გზის მოსამსახურენი არიან. უმრავლესობა ქართველებია.

რკინის გზის დათხოვნილ მოსამსახურეთა უკანვე მიწვევა. ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა მოწერილობა დაუბრუნა რკინის

ნის გზის ნაწილების უფროსებს: შეგიძლიათ დათხოვნილი მოხელენი თქვენის პასუხის მებელობით სამსახურში უკანვე მოიწვიოთ. რკინის გზის შემოსავლთა ნაწილის უფროსს დათხოვნილი მოხელენი მოსალაპარაკებლად დაუბარებია.

ლლონტის საქმე. ს. ლლონტის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა პოლიოკონიკი მალინოვსკის მოკვლა, გადაეცა სამხედრო სასამართლოს პროკურორს.

გენ. ალიხანოვის მოწერილობა. ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორი ალიხანოვ-აბასკი სთხოვს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამოსამართლო განყოფილებას, პასუხის გებაში მისცეს „ცნ.-ფურ.“ ჩელექტორ-გამომცემელი იმ კორესპონდენტებისათვის, რომელსაც იგი ბეჭდვის დასავლეთ საქართველოდან და რომელშიაც მთელი ბრალი ცარცვა-გლეჯასა და ცეცხლის წაქიდებაში დამსჯელ რაზმებს ედებათ.

გუბერნატორის მოწერილობა. ქალაქის გამგეობას გუბერნატორმა ოფიციალურად აცნობა საარჩევნო სიები სახელმწიფო სათათბიროს შესახებ ინახებოდეს ნახელმწიფო ხიზინაში, რომ არაფერს მოიპაროს.

ქართული წარმოდგენები. ქართული დრამატული დასი შეუდგა წარმოდგენების მზადებას ვლ. ალმასი-მისნიშვილის რეჟისორობით. მზადდება ოცდაათამდე ორიგინალური და ნათარგმნი პიესები. პირველი წარმოდგენა გაიმართება მომავალ კვირას, 12 მარტს.

შავი-ზღვის პირად მდებარე ადგილების რუსებით დასახლება. შავი ზღვის პირად მდებარე ადგილების დასახლებულად 974 ათასი მანათი გადაუღვიათ და შიდა რუსეთის გუბერნიებიდან 20 ათას ოჯახს ასახლებენ, გადმოსახლებული მარტის დასამუშავებელი იარაღებიც სახელმწიფოთ დაურიგდებთ.

ქსენონის გადმოგანა. სოფ. ახმეტის, თიანეთის მაზრაში, სასოფლო სამკურნალო საგუბერნიო სამკურნალო, გამგეობის განკარგულებით სოფ. თიანეთში გადმოაქეთ.

გუშინ გუბერნატორის კანცელარიაში გრება ქჭონდათ სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენლებს როგორ მოეწვას აღმოსავლეთ კავკასიაში მომთაბარე თათართა საქმე.

ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საგრებოლომ თავის უკანასკნელ სხდომაზე გასინჯა პოლიციის საუწყებოთ მოყვანილ 8 კაცი, რომელიც სამხედრო ბეგრის მოსახლეად დროზე არ

გამოცხადნენ. ამ რვა კაცში საგრებოლომ 5 კაცი იგნო ჟანსდათ.

გუბერნატორმა დამტკიცა გარის მსხრის გენერალ-გუბერნატორის დადგენილება დუშეთის სამხრეთ სამხედრო ბეგრის საგრებოლოს მდინის ეფ. გ. ლაფტაშვილის გადაყენების შესახებ. ბნ. ლაფტაშვილს პრაქსს სდებენ ახალ ჟანის კაცთა შორის პრაზაგანდის გაწევაში.

ამერეთის სასახლის სკოლისი. როგორც გადმოგვცეს, იმერეთის ეპისკოპოსად ნაცვლად ლეონიდისა, ინიშნება ალავერდის ეპისკოპოსი პეტრე, რომელიც ამ ეპოდ განაგებს ამ ეპარქიას. ეპ. ლეონიდე სხვაგან გადაყავთ.

კონ. დემოკ. პარტიის კანდიდატი. სახელმწიფო სათათბიროში ასარჩევად კონ.-დემ. პარტია კანდიდატად გ. მ. თუმანიშვილს ასახელებს.

გენ. ჟუნიკოვსკის მოსწენება გრადისა-სტეფანოვს. ნამესტნიკისთვის გენ. ჟუნიკოვსკის წარუდგენია მოხსენება ბაქოში გრადისა-სტეფანოვს და არსების შესახებ. ჟუნიკოვსკის აზრით ბაქოში გრადისა-სტეფანოვს და არსება 1.100.000 მანათი დაჯდება, ამ ფულადან ნავთის მწარმოებელთ შეაქვთ 565 ათასი მანათი.

ცა დრებულებით შენაბდულა, ჩაუგლავს გეშას მთავრე, სხელა და სდუმს უოგლეიკე, ეთ სთფლეი და სმარე!...

შოლოდ სელა ბორტების თეთ მსხერაჲდ კამოწდია, რომ ჩაქრას სთაგეშა განახლების მკერდელად დიდა!

ჯოჯოხეთის ბნელი ძალა მამოძვად უოგლეი მხრით და აწამებს ტახულ მხარეს სისხლ-შერეულ ტრეშების ღვრით.

მკრამ სულე ეგრუნელი მით იგზნება, ცხოველდება, გულად გრდემლად იწრთობა და თეთ მარჯვენა ფოლადდება!...

საღის გულის ნახერწყლება ნიშნისა და სიმოლო, რომ ფორნების ბელიტ ჩხეილს მიაქვას მალე ბოლო!

ამრანის ტახეუების წინ არადგეს მოადრეკს ქედს და მხოლოდ მით შეიმოსეს გამარჯვების შარანჯდეს!...

დ. თომაშვილი.

გ ა მ მ რ ი ტ

წავიკითხე „ცნობის ფურცლის“ „კრიტიკა“ ჩვენი „მრწამსის“ შესახებ და, მართალი მოგახსენოთ, სწორედ არ მოველოდით ასეთ უცნაურ ფილოსოფიას. ამ პარტი-ცემულ გაზეთის მხრივ. „ცნობის ფურცელი“ რომ მოიპოპირებინოსტებს და აფლოად მიჰყვება ხოლმე საზოგადო ცხოვრების ყოველ ახალ ნიავს, გარკვეული მიმართულება რომ არა აქვს და სხვა-და-სხვა მიმართულებათა შუა არის გაბოგირებული, ეს ვინ არ იცის, მაგრამ ვერც არაფერს იმის იფიქრებდა, რომ გაზეთის მიმართულება ასეთ აბულ ფილოსოფიურ სფუძველზე იქნებოდა დამყარებული.

რა კი ეროვნული ავტონომია ალგირეთ, გაზეთი ფიქრობს, რომ „...ლი ყურადღებას ვაქცევთ ეროვნულ საკითხს და შედარებით ნაკლებ დინტერესებულნი ვართ სოციალ-დემოკრატული საკითხებით“.

ესლანდელ პირობებშია, — ამ ბოზს გაზეთი,

— თქმა არ უნდა, ეროვნულ თავისუფლების პრინციპს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამასზედ ათჯერ და ათსჯერ მეტი მნიშვნელობა აქვს გამწვავებულ სოციალ-დემოკრატიულ საკითხებს, განსაკუთრებით აგრარულ საკითხს. თანამედროვე მოძრაობის უძლიერესი ძარბვი სწორედ ეკონომიურ ურთიერთობა, განახლებულ მოსალოდნელ გლეხთა მოძრაობის წარმოდგენა კი ამ თავითვე თუ-ზარდამცემ შიშს ჰგვრის ძველი რუსეთის დამცველებს და ამიტომ ჩვენ, „ახალი დროების“ ერთადერთი აზრი, რომ იგი უარ-ჰყოფს კაპიტალიზმს და სწამს სოციალ-დემოკრატიის, დამაყვავებულად არ მიგვაჩნია“.

შეიძლება ითქვას, რომ ამ „ტორადში“ რამდენი სიტყვაც არის, იმდენი შეცდომა.

ჯერ ერთი, ავტორი ერთი მეორის უპირდაპირებს ეროვნულსა და სოციალ-პოლიტიკურ საკითხებს, თითქო მათ შორის არაფერიც კი არ იყოს საერთო. გადავლეთ, ბნო, თვალი ირლანდიის ისტორიას და თქვენვე უარი-ჰყოფთ თქვენს აზრს. ეკრავითარმა საადგილ-მამულა მოძრაობამ ვერ გადასწყვიტა საადგილ-მამულა საკითხი ირლანდიაში, რადგან ამ გარდაწყვეტას წინ ელოდებოდა ინგლისის პარლამენტი. მთელი ირლანდია იმ აზრით არის ახლა გამსჭვალული, რომ მხოლოდ მომრული, საკუთარი პარლამენტი, შექმნის ისეთ პირობებს, რომელნიც ხელს შეუწყობენ ყოველ-გვარ სოციალურ საკითხთა გარდაწყვეტას.

ალბირში არა თუ საადგილ-მამულა საკითხი არ არის სამართლიანად გარდაწყვეტილი, არამედ არაბები ყოველ-გვარ სოციალ-პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულნი არიან.

სამაგიეროდ უმუხედნიერესი ქვეყნები დედამიწის ზურგზე არიან, „ახა-

ლი ზელანდია“. „ავსტრალია“ და „კანადა“, ავტონომიის და დეცენტრალიზაციის წყალობით.

ძირითადი გადაწყვეტა საიდგომო-მამულო და, საზოგადოდ, ეკონომიური საკითხებისა შეუძლებელია ცენტრალისტურს სახელმწიფოში. საჭიროა დასუსტება ბიუროკრატის ძალისა, საჭიროა, მაშასადამე, ჯერ, აქველანძღვოთ უფრო ადრე, დეცენტრალიზმი, ფართო ავტონომია, რომ შესაძლებელი შეიქმნეს ყოველ-გვარ დემოკრატიულ უფლებათა მოპოვება. დღევანდელ პირობებში კი, პარლამენტური წეს-წყობილებაც რომ და არსდეს, საყვედლოთ საარჩევნო უფლებაც რომ ქონდეს მინიჭებული ხალხს, შესაძლებელი იქნება მხოლოდ პალატივერი, მცირეოდენი გაუმჯობესება გლეხის მდგომარეობისა. აი, სწორედ აქ არის მთავარი განსხვავება ჩვენსა და „ცნობის-ფურცელს“ შორის. ჩვენ პალატივერებს ვერ დავუჯერებთ, ოპოზიციონერებს ვერ ვთავაზობთ.

უარყოფა გერმანია, კაპიტალისტური წარმოების და აღსარება ეკონომიური კოოპერაციისა, თანამშრომლობისა, ჩვენს მოკამათეს კულ-მოკვეცილ პროგრამად მიიჩნია, თვითონ კი საადგილ-მამულო საკითხი წამოაყენებდა ერთად-ერთ დღემწინველივე საკითხად. „ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო“, სწორედ ამაზედ იტყვიან. ჩვენი პროგრამა ფართოა, შეეხება, როგორც საადგილ-მამულო საკითხს, აგრეთვე სამრეწველოს. „ცნობის ფურცელი“ კი გამოდის თავის მართლაც კულ-მოკვეცილი საადგილ-მამულო პროგრამით და ჩვენ გვიყენებს პროგრამის კულ-მოკვეცილობას!

ყველაზე უფრო უცნაური ფიქსიონია კი მოპირდაპირის ამ სიტყვებში იხატება:

„დასასრულ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ახალ დროებას“ ეროვნულ საკითხის შესახებ ყველაფერში არ ვეთანხმებით, თუმცა ჩვენ მომხრე ვართ დეცენტრალიზაციისა და ავტონომიისა. არ ვეთანხმებით, მაგალითად, იმ აზრში, ვითომც რწმენა ეროვნული თავისუფლების ისეთივე ბუნებრივი, ნორმალური მოვლენაა, როგორც, მაგალითად, რწმენა, რომ ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილება სმა-ჰემა, მოჭრაობა, ძილი და სხვ.“

ეს აზრი რომ მართალი იყოს, მაშინ ხომ ეროვნულ საკითხის შესახებ ისეთივე სრული თანხმობა იქნებოდა, როგორც ახსენებთ, ვთქვით, იმის შესახებ, რომ ადამიანისთვის ძილი საჭიროა, ეროვნული საკითხი ერთ-ერთი „შტრა სოციალ-პოლიტიკური საკითხებისა და სწორედ ამიტომ არის იგი რთული, სწორედ ამიტომ უწყვეტია ამ საკითხს სხვადა-სხვა თვლით სხვადა-სხვა წრეები, კლასები და თეორიები.“

ჯერ ერთი, ტყუილია ის აზრი, ვითომ ადამიანთა შორის სრული

თანხმობა იყოს სმა-ჰემის შესახებ. ზოგიერთი კაცი სიღარიბის ან სხვა მიზეზის გამო მიხვედნია უმეტეობას, ე. ი. ძლიერ კლასსა სკამს, ძალ-ღონე აქვდება და ვერ ატყობს, რომ მიზეზი მისი სწავლებისა არის უმეტეობა. ამ გვარ კაცს რომ უთხროთ, თქვენი სწავლების მიზეზი უმეტეობაა, გაიკვირებს. მაშასადამე, მას არა სწამს, რომ ნორმალური საქმელი მოთხოვნილებაა კაცის სხეულისათვის. არის ერთ-გვარი სწავლება, რომელსაც სახელწოდების მქონეა, ამ სწავლით შეპყრობილი კაცი ხშირად სრულიად უარყოფს საქმელს. ცხადია, ეს მაგალითები ფიზიოლოგიის, ნორმალური მოვლენათა სამეფოს საზღვარს იქით იძვრებენ.

სწორედ ასეთივე პატარაობიერი, არანორმალური, უკუღმართი მოვლენაა, როდესაც ვისმე არა სწამს და აზარად მიიჩნია ეროვნული თავისუფლება. თუ კაცი დამახინჯებული არ არის ხანგრძლივი მონაბოთი და უკუღმართი აღზრდით, თავის დღეში არ იტყვის, რომ ეროვნული თავისუფლება ბუნებრივი მოთხოვნილება არ არის ადამიანისათვის. მართალია სოციალ-პოლიტიკური მონაბოთი ხშირად ადლებინებს ზოლმე კაცს ხელს თავის ეროვნებაზე, მაგრამ განა იგივე პირობები არ არის მიზეზი ხალხის დამშვიდებისა და ათას-გვარი უბედურობისა? დიდად, ეროვნული თავისუფლება ძირითადი მოთხოვნილებაა, რომლის დაუკმაყოფილებლობაც ძირს უთხრის ყოველ-მხრივ ერის კეთილდღეობას.

რაც შეეხება იმ აზრს, რომ ეროვნული საკითხი ერთ-ერთი „შტრა სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებისა, ტყუილია გამოაქვს „ცნობის ფურცლის“ ფილოსოფიის ეს გაცდითილი აზრი, როგორც უკვე აღსარებული მეცნიერების მიერ, რა რისი შტრა და რა ძირი, ამ საკითხებზე ბევრი იმტერიეს თავი, მაგრამ არა გამოვიდარა და „ცნობის ფურცელი“ ხომ სრულიად არაფრით არ ასაბუთებს ამ აზრს, არამედ გვაჩვენებს ხელში უკრიტიკოდ, როგორც უცოდლოდ საწმუნო დოგმას.

პოპულარული

ს. დილიკაური (იმერეთი) შავს რისხვას ვერ აცდა ჩვენი სოფელი. მასაც ცეცხლი და მახვილი ეწვია. 20 თებერვალს დილიკაურში მოვიდა ორი სალდათი თავის ავიტორო და მთელს სოფელს შიშის ზარი დასცეს. უკვე დაბრუნდნენ რამდენიმე კაცი და გაგზავნეს ზესტაფონში. შეიქმნა სოფელში ატილასებური თარეში და ხალხის აწიოკება. ნახევარ სოფელზედ მეტი—განსაკუთრებით ქალი და ბავშვი—გაიხიზნა. ღამის 9 საათზედ გაიხიზნა ცეცხლი და დასწყევს

7 მოსახლე—ცერცვამ, სვიანაძე და საცერაძე. ამავე ღამეს მოკლეს გლეხი ლომიძე. აქედან რაზმი გადავიდა ს. თერგოლაში და დაბრუნდნენ რამდენიმე კაცი. დასწყევს რაზმის, ენუქიძის და სარდანაძის სახლ-კარი. 24 თებერვალს ამავე სოფელზედ ორმა კახაკმა ამოატარეს ს. ალის-უბნის სკოლის მასწავლებელი. დეტუსალების დროს იგი სასტიკათ ეცემოთ და შემდეგ ფეხით წამოუთრევიათ ცხენისა კახაკებს, აღვილი წარმოსადგენია, თუ რა ტანჯვა-წამებას გამოცდიდა გზაში უბედური.

ეს რაზმი და ერთი სოტრა კახაკი ეწვიენ ს. სახანოს და სოფელს მოსთხოვეს 7 კაცის გაცემა. იმ ღამესვე დასწყევს ნებერიძის სახლი და თვით ნებერიძეს სცემეს საშინლად. ამისთან ერთად სოფელს შეაწერეს ჯარში 1000 მ. ვითომდა ავტოტორებს ინახავოთ და ეს ფული 1 მარტამდე უნდა შეიტანონ ხაზინაში.

ნ ა რ კ მ ე ნ ი

უცხოეთის პრესა რუსეთის კონსტიტუციის შესახებ.

გერმანიის გაზ. „ვოსიშე“ ცეიტინგი ამავე რიგით ახასიათებს რუსეთის კონსტიტუციას:

ახალი კონსტიტუცია ნამდვილად მეტად მცირე უფლებებს აძლევს რუსეთის ხალხს. მართალია იგი უსხის განს ხალხის წარმომადგენელ კანონმდებლობაში, მაგრამ ამით ბევრი არაფერი გამოდგება, რადგან თვით კონსტიტუცია შედგენილია მეტად უგარისად და სცოდავით. ორივე ზღაპრის, ე. ი. სახელმწიფო საზღვრის და სათავისარის კლდეები კანონმდებლობის ინიციატივის უფლება; კანონ პროექტი უნდა დასტურდეს ორივე ზღაპრით. თუმცა პრაქტიკულად ეს გარემოება მოსპობს მინისტრების მიერ კანონების უზომო ფაბრიკაციას, მაგრამ ახალი კონსტიტუცია არ იძლევა არავითარ გარანტიებს მინისტრების პრაქტიკაში წინააღმდეგობას მინისტრებისადმი და ადგილობრივ უფლებათა კვდრადი შეუარსებ კონსტიტუციისადმი დადგენილებებს და ითარეშონ ქვედებურათ. როგორც წინაო, ისე ახლაც მთავრობის თვით-ნებობას შეუძლია შეიშალოს და ხიფათში ჩაგდოს მცხოვრებთა კერძო და საზოგადო ცხოვრება. ხალხის წარმომადგენლებს თითქმის ნება არ ექნებათ შეეცნონ და მისთვის არ აგარიზონ მთავრობის ადმინისტრაციის ბოროტ მოქმედების შესახებ. ამ წარმომადგენელთა არ ექნებათ უფლება უფრო რამე კანტროლი მთავრობის ადმინისტრაციულ მოქმედებაში. მინისტრები არამც თუ სახსენ არ აგებენ ზღაპრით წინაშე, რამედ ვადებულებიც კი არ ექნებათ ზსუსხი გასცენ შეეცნება წარმომადგენელთ. კარდა ამისა ზღაპრებს არ ექნებათ არავითარი უფლება შეეცნონ სახელმწიფოს ბიუჯეტს

და უფრო კანტროლი ფინანსიურ გამგეობას.

უწინაესო უფლებას უნდა აღენიშნოთ კითხვა, შეუძლია თუ არა კონსტიტუციის მომართვის ის უფლებები ბოროტმოქმედებას, რათა იხატება მთელი რუსეთი. ცხადია, არა. მინისტრები, რომელნიც სათაბოროს წინაშე ზსუსხს არ აგებენ, წინააღმდეგობა თავის ნებაზე აკეთებენ ეგვალეფებს და სათაბოროს სულ მალე სისცდოდ განდებან. (ნ. უ. 25 თებ.)

გაზ. „რუსს“-ის აზრით რუსეთს არ შეუძლია გამოვიდეს ფინანსიურ გაკირვებიდან, თუ დღევანდელი შინაური პოლიტიკა არ შეიცვალა.

„ახალდის ფული“ ახლაც კი 40 თუ 50 მილიონის მანეთით მეტი არის, ვიდრე ოქროს ფული, ამისგან გაყვითი. სამწუხაროდ რუსეთიდან კიდევ ბევრი ოქროს ფული უნდა გაყვინოს მთავრობამ, რადგან მხოლოდ ოქროს ფულით უნდა გადახდეს გზა, რომელიც ახლანდისათვის ომის დროს დაედო. საზღვარ-გარეთიდან კი ოქროს ფული ჩვენში ძლიერ ცოტა შეიშალა, რადგან რუსეთიდან უცხოელები ევალეფებს ევალეფებენ.

დაუსრულებელი მანაჟი არეულობისგან ჩვენს გაჭირვებას და მრეწველობას ბევრად უფრო დიდი ზარალი მოუყვია, ვიდრე განა ჩვენს სამონისტროს. ევროპელებმა ჩვენს გაჭირვებულებს აღარაფერი ანახა ვის. ევროპელებმა თავისი მამულები მათკენ და ჯარ დაიშუშეს. დამსჯელმა რაზმებმა განადგურეს ხალხის სიმდიდრე, დიდი ზარალი იმის გაზოცა რომ უარეულები მშრომელი ხალხი დატუსაღებულნი. ამის დაუმტკთ კიდევ მშობელი 22 ევროპელები და სხვა და სხვა.

ასეთი ჯოჯოხეთური მდგომარეობა შექმნა რუსეთის ბიუროკრატიაში, რომელიც ხელაძეს, რა საშინელ ეკონომიურ საფრთხეს, კრიზისს ამზადებს. („რუსს“ 26 თებ.)

გაზ. „თელი. ფურცელი“ ასე ფილოსოფიისა ჩვენ მიერ აღსარებულ ნაციონალიზმის შესახებ:

„ახალი დროება“ ახლაც ვერ ხედავს კლასთა შორის ბრძოლას თვით თვედ ერში და ასე ცნობა, თითქმის მთელი ერი ერთგვარ ეკლემენტში სიგან შესდგება, მთელ ერს ერთგვარი მოთხოვნილება და მიზანი ექვსო... პროლეტარის ნაციონალიზმი სხვაა, ევალეფებს სხვა; ამატომ არ შეიძლება „ნაციონალიზმი“ სკრთო მიზნად დასხმთ, ამკარი ნაციონალიზმი გრინგენტისებური იქნება. (თე. ფურცელი“ 3 მარტი.)

პასუხად ორ რამეს ვიტყვით ხე-ნებულ ვაზეთს: ჯერ ერთი, ჩვენი მოწინავე წერილის შინაარსი ვერ გუგია. ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რომ უარ-ფყოფთ კაპიტალისტურ წარმოების ექსპლოატაციასთან ნუ თუ ამ სიტყვებიდან არ სჩანს ნათ-

ლან, რომელი კლასიკენ არის ჩენი სიმბატა? მეორე, ჩენი ეროვნული ეთიკა? აშკარად იყო გამოთქმული. ანუ უსურვებ სხვა ერს წერაფერს, რა შინი ერისთვის არა გსურს. ეს არის საფუძვლი ამ ეთიკისა და თუ ამგვარი ნაციონალიზმი გრინგმენტისებურია, სინტერესო ვიცოდეთ, თუ ფურცლი-სებური ნაციონალიზმი როგორი-ღამ?

კ ა ხ ე თ ი

ქალაქი თელავი. თუმცა თელავის მაზრა ჩვეული ქურდობას და ყაჩაღების თავდასხმას, მაგრამ ამ ბოლო ხანს მეტად გახშირდა ასეთი ამბები. არ ვიცი რა მიზეზია, რა-ქციან მიზეზით თუ სხვა რასმე, მხოლოდ მგზავრობა სახითაა შეიკმნა, არაფერ არ არის დარწმუნებული, რომ გარედ გასული შინ მშვიდობით შივ.

24 თებერვალს, სოფელ შაქრიანის მახლობლად (ყვარლის საბოქაულოში) შარა გაზაფხუ-ქალაში გაძარცვეს ასამდე კაცი, ხოლო სამი ამთავარი იქვე მოკლეს. საქმე ასე მომდარა: დასახლებულ ადგილას დილაღამე ყველა მგზავრს აყენებდა ათი შეიარაღებული კაცი, ზოგი აფირის, ზოგი ბოქაულის ტანსამოსში გამოწყობილი და ბერდანის თოფებით შეიარაღებულნი. იმათგან სამი კაცი უცნაო, ორი ლეკი სახელად უსეფა და ალი და ერთი გაბაგელი კაცი. ამათ უსეფა ლეკი უფროსობდა და გაცარცვის შესახებ განკარგულებას იძლეოდა, ყველა გამგულ-გამოვლელი მუჟიერებთან, სხვათა შორის გლეხ მზი-დან მომავალი ორი და თელავიდან ყვარელში მიმავალი ერთი დილი-ქანი ყველანი დაწვრილებით გაეჩხრკათ, ზოგისთვის ტანისამოსი კი წაერთმიათ და ფულს და ნივთ-ულობას, ქამარ-ხანჯალს; საათს, ბეჭ-ლებს, სხვას ზომ თქმა აღარ უნდა. ზოგი სიფაქრათ მიღწილია, ზოგს გატანებული ფული ჰქონდა და ყვე-ლასათვის წაურთმევით, ჯიბის გარ-და ჩექმებში და დილიჯანშია ცე-მებდენ ფულს და ნივთებს, უკა-ნასკნელი 80-100 მგზავრი მაინც გაუცარცავთ. წაურთით ფულად 1500—1600 მანეთი და 400—500 შ. ნივთები.

თელავიდან მიმავალ დილიჯანში მგლარა სხვათა შორის ერთი სტრანეიკი, რომელსაც ყაჩაღები-სთვის უსროლია. წინადა მასაფ-რებულ უცნობთ რამდენჯერმე დაუხვლიათ თოფები. სტრანეიკი მა-შინვე მოუკლავთ, იმას გარდა თოფით მოუკლავთ ერთი ოსი და ერთი შილდელი გლეხი; მერე მისულან დილიჯანთან, გადარჩენილი მგზავრები გაუცარცავთ, მკვდარი დილიჯანიდან გადმოუყრიათ, სტრა-ნეიკი გვამისთვის რამდენიმე ქრი-

ლობა მიეცათ და გიბიდან 180 მა-ნეთზე მეტი ამოურთმევით, ამ ფასად სტრანეიკს ცხენი გაეყიდა და სამ-სახურიდან გამოსული ცოლშვილის წამოსაყვანათ მიდიდა თურმე.

სტრანეიკი რომ მოეცა, ბო-როტ მომქმედდნენ იქვე, რომ ბეგ-იას სისხლი ავიღეთო. შემოდგომაზე ამავე ადგილას ყაჩაღთა ბრბო ბეგ-იას მეთაურობით ცარცვედა ხალხს, თუმცა ბეგია მოკლეს, მაგრამ, რო-გორცა სიხანს, კიდევ ახალი ბრბო შეუდგენიათ.

ჯერ ეს ამბავი ეცოფით სალაბა-რაკით თელავლებს, თუმცა იმდენი ამბები და შემთხვევები ხდება ამ ემახლ თელავის მაზრაში, რომ მასა-ლა არ შემოაქვლებათ; მაშ როგორ გაატარონ დრო? ბანქოს და ნარ-დეს თამაში მაინც და მაინც მესა-დესრებელია; ცხოვრება თელავში ძველებურად, ჩვენებურად, მყუდროდ და უსიკოცხლოთ მიდინარეობს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

რუსეთი

გენ. სტესელის სამართალში მიცემა. ხმა დადის სამხედრო წრე-ებში, რომ გამოძიებული კამისია ალექს სტესელის სისხლის სამართა-ლშიო. რ. ვ.

გენ. ყაზბეგის სასამართლოში მიცემა. როგორც ამბობენ, სისხლის სამართალში მიცემა ეგრეთვე გენ-ლი ყაზბეგი, ვლადიკავკასი ყოფ-ლი კამენდარი, რომელიც ამ ემათ იმყოფება პეტერბურგში. ყაზბეგს ბრალდება სხვა-და-სხვა უკანონო საქციელი, კამენდატობის დროს, ბადენილი. (რ. და სვ.)

დურნოვოს განკარგულება დურ-ნოვოს განკარგულებით ყველა ჩი-ნოვნიკს დაეცა აიღოს აღსარება. (რ. *).

შმიდტის პატიების შესახებ. შმიდტის დას შეურთანია თხოვნა ხელშეწყობის სახელზე თავის ძმის პატიების შესახებ. (რ. *).

700 ტუსადის საქმე. პოლიციის დეპარტამენტი თავდება 700 კაცის საქმეთა გარჩევა. ესენი დაატუსადეს მოსკოვში დეკემბერში მომხდარ ამბების გამო. ამ საქმეებში 200 ის-პობა. 100 კაცი მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებისამებრ ისევ სხედან საპრობილეში. 125 დატუ-საღებულ ექიმთა და ერობათა მო-ხელეების შესახებ მოვლიან გუბერ-ნატორის განკარგულებას. 150 კ-ცამდე გიგზაგენება ციმბირსა და რ-დილო გუბერნიებში შ-დან ხუთ წლამდე. 60 კაცი კი სისხლის სა-მართალში მიცემული შეიარაღე-ბულ აჯანყებაში მონაწილეობის მი-ღებისათვის. (რ. ვ. *).

პეტერბურგის გრაფინიალ-ნიკს წარსდგომა დეპუტაცია კონ-დემოკრატიულ პარტიისაგან. დეპუ-ტაცია შეამდგომოდა, რათა პარ-

ტიის ნება ჰქონდა თავისუფალ კრებების მოხდენისა. გრაფინიალ-ნიკს უპასუხნია, თქვენ საზღვარს-გადასცდით, რევოლუციონერ პარ-ტიებისკენ გადაიხარეთ და ამიტომ კრებების მოხდენის ნებას ვერ მოგ-ცემთ, მით უმეტეს, რომ თქვენი პარტიის შესახებ ასეთი აზრისაა თვით ვიტრეტო.

რუსეთში სოც. დემოკრატებს გალაუწყებრით, ხელი არ შეუშა-ლონ არჩვენებს იმ ფაბრიკა-ქარ-ნებში, სადაც მუშათა უმრავლესობა წინააღმდეგი არაა სახელწიფო სა-თაბიროში მონაწილეობის მიღე-ბისა.

დეპეშა

(საქუთაისის კორესპონდენტისაგან) ქუთაისი 2 მარტი. ქუთაისის ქალაქი-სა და გუბერნიის სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციების კონფერენციამ დაადგინა ბოიკოტი გამოუცხადოს სხელწიფო სათაბიროსა და გუბერნიის აგარაფი ბაიფიგ გამოცხად.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.)

გოსსოპი 2 მარტი. გრაფინიალ-ნიკი აცხადებს, რომ წესიერების და-რღვევის შესახებ გავრცელ გზული ხმები უსაფუძვლოა. მშვიდობიანო-ბის დამარღვევლათა წინააღმდეგ მი-ღებულ იქნება სასტიკი ზომები. პარტი 2 მარტი. მახლობლ სო-ფელში ყაზაყებსა და მუშებს შორის შეტაკება მოხდა. მოკლულ იქნა ორი მუშა.

ბერლინი 2 მარტი. აგელ. ცი-ტუნგი ამბობს, რომ რადიკალებისა და რევოლუციონერების გამოწვევ-ბული აგიტაციის ჩაქრობის შემდეგ რუსეთში სიმშვიდე ჩამოვარდა, უნდა დეცეპტო, რომ რუსეთის პირველი პარლამენტი იქნება კონსერვატიული. მეზარცხენი გამარჯვება მხოლოდ ბრედენიმ წლის შემდეგ მოიპოვე-რან.

ზუღაპაშვიდი, 2 მარტი. კოალიციის უმთავრესმა კომიტეტმა დაადგინა გა-მოუცხადოს ხალხს, რომ ხელ-შეკ-რულობანი, დადებული ახლანდელ მთავრობის მიერ, არ არის საფაღდე-ბული ქვეყნისათვის. კომიტეტი ურ-ჩევს უნგრეთის საკრედიტო დაწესე-ბულებებს არ მიიღონ მონაწილეობა მთავრობის საფინანსო ოპერაციებში. გამოაცხადა უკანონოდ მოქმედება მომხმარებლისა, პორტეტის აცხადებს მთავრობის განკარგულების წინააღ-მდეგ არჩევნების ვადის გადღების შესახებ.

ჩიბა. 2 მარტი, ნაშუადღევს სამ საათზე დახვრიტეს ტენიკი გრიგო-რაოვისი, საღაღურის უფროსის თა-ნაშეწე ცუხსმანი, სტოლიაროვი და ვიბტენი.

ლონდონი 3 მარტი. ადელი ტე-

ლერგაფი ტოკიოდან გავუწყებს. საზღვაო სამინისტრო აცხადებს, საზღვაო ტენიკმა კიოტოამ გამოგ-ზინა უმავთულო ტელეფონის სის-ტემა. ჩინეთის პრევიზ იმპერატრი-ცამ შესწირა იაპონიაში დამშეულთ 100,000 ტალი.

უშა 3 მარტი. საგანგებო დაცვის წესი შეცვლილა გაბლიერებული წესით.

ტომსკი, 3 მარტი. სათემო ყრი-ლობებზე არჩეულნი ყველა წერა-კითხვის მკოდნა და მკუთნიან 17 ოქტომბრის პარტიის.

უსამანი, 3 მარტი. წერალ ზეგამე-ლეთაგან არჩეულ იქნენ რუანდ-ბულეობა 8 მღვდელი, 8 გლეხი, 2-ი მხიხელ-მემაღლე.

კოსტრომი, 3 მარტი. კოსტრომის მაზრაში ოთხი თემის წერალ მემა-მულეთა საარჩევნო ყრილობაზე არ-ჩიეს 3 მღვდელი, 5 მეკარხენი, 3 გლეხი.

სმოლენსკი, 3 მარტი. წერალმა მემაღლეობა 34 რწმუნებულებათ სულ გლეხები აირჩიეს, სხვა წოდების მემაღლეებს ეს დღეირიყუნეს და კრე-ბიდან დემონსტრაციულად გაიღ-ნენ. ეშინათ, რომ გლეხებმა საგუ-ბერნიო კრებაზე დიდი გავლენა არ მოიპოვეს.

ლაგოშკი, 3 მარტი. ელტომისა, მარშნისა და ლიპეცის მაზრებში წერალ მემაღლეობაგან რწმუნებულ-თა არჩევნება მშვიდობიანად ჩაი-რა. ელტომის მაზრაში არჩეულ იქნა 4, მარშნის მაზრაში—23, ხო-ლო ლიპეცის მაზრაში არჩეულ იქნა 27 რწმუნებული.

პეტერბურგი, 3 მარტი. ოფი-ციალური სახელწიფო სამკომ-ნიხილო პრეკტი სახელწიფო საბ-ქოსა და სახელწიფო სათაბიროში არჩევნებს დასაცავდ. პრეკტი მცირედენ ცვლილებით მიღებულ იქნა. პრეკტში აღნიშნული ზო-გერთი სასყველები შემცირებულ იქნა.

ნოვოზანსკი, 3 მარტი. მიწის მფლო-ბეთა და საშლდელოების კრებაზე 98,889 ამომრჩეველთაგან გამოცხად-და მხოლოდ 52, რომელთაც ამო-ირჩიეს 23 რწმუნებული, ამთავან 22 მღვდელი.

მარჩუპოლი, 3 მარტი. სახელწი-ფო სათაბიროსთვის მაზრის ამომრ-ჩევლთა რიცხვია 24, მათ შორის 6 მღვდელი.

ნოვინ-ნოვოროდო. 3 მარტი. სასამართლომ დაადგინა: დაპტიმ-რებულ იქნას უტროს რედაქტორ-გამომცემელი სობოლევ 11 თვით, აიხალოს უფლება გამოცემისა, მოის-პოს გამოცემა და დაქერილ იქნასა-ყველა გამოსული ნომრები.

პაჰანე. 3 მარტი. კლიაინიკის სასოფლო სასამართლომ სამაზრო კრებაზე რწმუნებულად ამირჩიის სტუდენტო ნაწყოფი გლეხი მაკ-აროვი.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. ლ. პახტაქე.